სასამართლო პანდემიის დროს

სპეციალური ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2020 - ივნისი 2020

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სასამართლო პანდემიის დროს

სპეციალური ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2020 - ივნისი 2020

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

თბილისი
2020

ანგარიშის ხელმძღვანელი: მერაბ ქართველიშვილი

ავტორები: ფატიმა ჩაფიჩაძე

თამარ ბოჭორიშვილი

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: ნინო გაგუა

ანგარიშის მომზადებისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაწილეობდნენ საიას მონიტორები: ხატია ხარატიშვილი, ნათია გელაშვილი, მთვარისა შველიძე, ჯუმბერ ქათამაძე.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო
+995 322 936101
www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2020

სარჩევი:

შესავალი..... 5

მეთოდოლოგია..... 7

ძირითადი მიგნებები..... 9

დისტანციური სამართალწარმოების კუთხით არსებული გამოწვევები... 11

- არსებული ვითარება..... 11
- სასამართლო სხდომების საჯაროობა..... 12

დისტანციური სხდომების მონიტორინგის შედეგები და გამოვლენილი ტენდენციები..... 16

- სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები.... 16
- საპროცესო შეთანხმებები..... 17
- წინასასამართლო სხდომები..... 19
- საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები..... 20

ტექნიკური და სხვა სახის პრობლემები..... 24

დასკვნა და რეკომენდაციები..... 26

შესავალი

მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო მოულოდნელი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. პანდემიამ შეუძლებელი გახადა ცხოვრების ჩვეული წესით გაგრძელება. უხილავმა საფრთხემ ადამიანებში თავისუფლად გადაადგილების, კომუნიკაციისა და საქმიანობის შიში წარმოშვა. სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის, თითქმის ყველა მიმართულებით, საჭირო გახდა ახალი გამოსავლის ძიება.

საქართველოს ხელისუფლებამ, კორონავირუსის მასობრივი გავრცელების საფრთხისა და, ამ კუთხით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მოსალოდნელი რისკების შემცირებისა და სიტუაციის მართვის უზრუნველსაყოფად, ახალი რეგულაციები დააწესა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც სასამართლო სისტემა ყოფილა.

ჩვეულ რეჟიმში სხდომების გაგრძელება ზრდიდა პანდემიის თანმხლებ რისკებს. სასამართლოს, ერთი მხრივ, თავიდან უნდა

აეცილებინა მის სივრცეში ვირუსის გავრცელების საფრთხე და, მეორე მხრივ, ეზრუნა, რომ არ დარღვეულიყო საპროცესო ვადები.

გამოსავალი მალევე მოიძებნა. სასამართლომ, სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელ უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, შეძლო, რომ პროცესები, რომლებიც შებოჭილი იყო საპროცესო ვადებით, ჩაეტარებინა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის ეს სიახლე არ ყოფილა, თუმცა მისი მასშტაბების გაფართოებამ არაერთი ტექნიკური თუ სხვა სახის პრობლემები წარმოშვა. დისტანციური ფორმით სამართალწარმოების გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა მისი დახვეწა და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

z

მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2011 წლიდან ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. ანგარიშები მზადდება უშუალოდ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის მონიტორინგის არეალი მოიცავს ექვს სასამართლოს, ესენია: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და თელავისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოები.

უშუალოდ სხდომათა დარბაზში დაკვირვების გზით განხორციელებული მონიტორინგის მსგავსად, საიას დამკვირვებლები დისტანციურად მიმდინარე პროცესების დროსაც იყენებდნენ სპეციალურად ამ მიზნით შედგენილ კითხვარებს. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ასევე, სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსების მიერ. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები.

4 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ დისტანციურად ჩატარებულ 141 სასამართლო სხდომას. მათ შორისაა:

- 6 - ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა
- 17 - საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 54 - წინასასამართლო სხდომა
- 64 - საქმის არსებითი განხილვის სხდომა

ძირითადი მიგნებები

- სასამართლო სისტემამ პანდემიის პირობებში დროულად უზრუნველყო დისტანციურ სამართალწარმოებაზე გადასვლა.
- თავდაპირველად, მარტიდან მაისამდე, სხდომების საჯაროობისა და გამჭვირვალობის კუთხით არსებობდა სრული შეზღუდვა. დაინტერესებულ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, დისტანციურად მიმდინარე სხდომებს დასწრებოდნენ.
- მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლოებს არ აქვთ ერთნაირი მიდგომები. მაისიდან საია ახორციელებს დისტანციური პროცესების მონიტორინგს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ივნისიდან - ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. სხვა სასამართლოებმა (ბათუმი, ქუთაისი, თელავი, რუსთავი) დისტანციურ სხდომებზე მონიტორების დასწრებასთან დაკავშირებით უარი განაცხადეს, მიზეზად კი დაასახელეს, რომ მათი ჩართვა ტექნიკურ ხარვეზებს გამოიწვევდა.
- სხდომების დისტანციური ჩართვების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ხშირად სხდომების დაგვიანებით დაწყებასა და გადადებას განაპირობებდა.

- დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოწმის დაკითხვა ხდებოდა პოლიციის განყოფილებიდან, რა დროსაც გამორიცხული არ არის, სამართალდამცავთა მხრიდან მასზე განხორციელდეს რამე სახის ფსიქოლოგიური ზემოქმედება იმ მიზნით, რომ სასამართლოს ბრალდების მხარისთვის სასურველი ინფორმაცია მიაწოდოს.
- დისტანციურ სხდომებზე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევა. ეს უკანასკნელი გულისხმობს უშუალოდ სასამართლოს სხდომის დარბაზში, მხარეთა მონაწილეობით, დალუქული მტკიცებულების გახსნას და მის დათვალიერებას, რათა არ გაჩნდეს ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.
- რამდენიმე პროცესზე, რომლებზეც ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა ხდებოდა, გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, ჩანაწერი არ იყო მხარეებისთვის აღქმადი.
- ბრალდებულებს, რომლებიც სასამართლოს ერთვებოდნენ პენიტენციარული დაწესებულებიდან, შესაძლოა, შეჰქმნოდათ დაბრკოლება მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ თამამად და ღიად განცხადებასთან დაკავშირებით, მით უფრო, თუ ძალადობა, სავარაუდოდ, თავად ამ დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან იყო ჩადენილი.
- მონიტორინგმა გამოავლინა 2 შემთხვევა, როდესაც ბრალდებულები არასათანადო მოპყრობის შესახებ საუბრობდნენ.
- დისტანციური სამართალწარმოებისას საფრთხე შეექმნა ბრალდებულისა და მისი ადვოკატის კონფიდენციალურ ურთიერთობას. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დისტანციურ პროცესზე ადვოკატის კონსულტაცია ბრალდებულთან მესამე პირებისთვისაც ხელმისაწვდომი იყო.
- დისტანციური პროცესების დროს არსებობს ბრალდებულის და პროცესის მონაწილე სხვა პირების პერსონალური ინფორმაციის, ასევე, იმ საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, რომლის შესახებაც დახურულ სხდომებზეა საუბარი.

დისტანციური სამართალწარმოების კუთხით არსებული გამოწვევები

არსებული ვითარება

ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, როდესაც დისტანციურ სამართალწარმოებაზე გადასვლის საჭიროება წარმოიშვა, სასამართლომ შეძლო ამის დროული უზრუნველყოფა. თუმცა, პირველ ეტაპზე გაჩნდა გამოწვევები საჯაროობის კუთხით. ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციით, შეიზღუდა სხდომებზე დამსწრე პირთა, მათ შორის, მედიის წარმომადგენელთა რაოდენობა.[1]

2020 წლის 20 მარტს უზენაეს სასამართლოში გამართულ შეხვედრაზე[2] შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა პანდემიის პირობებში მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელების

[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები, 2020 წლის 13 მარტი. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3629.
[2] უზენაეს სასამართლოში მართლმსაჯულების განმახორციელებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა. ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/news/id/2058.

შესაძლებლობებზე იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ სამართალწარმოება მაქსიმალურად დისტანციურ რეჟიმზე გადავიდოდა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-7 მუხლის მიხედვით, შესაძლებელი გახდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.[3]

2020 წლის 23 მაისიდან კი, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა, სხდომების დისტანციურად ჩატარება ახალი საკანონმდებლო ცვლილებით დარეგულირდა. კერძოდ, მიმდინარე წლის 15 ივლისამდე განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესების დისტანციურად გამართვის დროებითი წესი.[4]

სასამართლო სხდომების საჯაროობა

საერთო სასამართლოების მიერ სხდომების დისტანციური წესით წარმართვამ, პირველ ეტაპზე, საიას მონიტორებს, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, სისხლის სამართლის პროცესების განხილვაზე დასწრების შესაძლებლობა შეუზღუდა.

ორგანიზაციამ 2020 წლის 2 აპრილს განცხადებით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისტანციურ პროცესებზე დასწრების ნებართვასთან დაკავშირებით.[5] საბჭოს პასუხის თანახმად, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჯაროობის პრინციპის დაცვის მიუხედავად, სასამართლო სისტემა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დისტანციურ სხდომებზე საიას მონიტორების ჩართვა უზრუნველეყო.[6]

---

[3] საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0.
[4] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4876514?publication=0.
[5] 02/04/2020, განცხადება №g-01/37-20.
[6] 07/04/2020, განცხადება №305/995-03-ო.

2020 წლის მაისის დასაწყისში საიამ, დისტანციური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, თხოვნით მიმართა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებს.[7] მონიტორების ჩართვასთან დაკავშირებით მზაობა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოთქვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე კვლავ არ ქვეყნდება ინფორმაცია ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების შესახებ,[8] რის გამოც საიამ ვერ შეძლო დისტანციურ რეჟიმში მათი მონიტორინგი. არაერთი წელია, ორგანიზაცია საუბრობს, რომ პირველი წარდგენის სხდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სხვა ეტაპის პროცესების მსგავსად, უნდა განთავსდეს როგორც სასამართლოს ვებგვერდზე, ისე მის შენობაში დამონტაჟებულ მონიტორებზე. პირველი წარდგენის სხდომაზე განსახილველი საკითხების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მონიტორინგის მიღმა მათი დარჩენა პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე, დაკავების კანონიერების შემოწმება.

რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონულმა სასამართლოებმა საიას უარი უთხრეს დისტანციურად მიმდინარე სხდომების მონიტორინგზე იმ საფუძვლით, რომ ორგანიზაციის დამკვირვებელთა ჩართვა, პირთა სიმრავლის გამო, ტექნიკურ შეფერხებას გამოიწვევდა.[9] ეს პასუხი, ცხადია, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან საიას მონიტორები თბილისის საქალაქო სასამართლოში (რომელიც გაცილებით დიდია) დაესწრნენ არაერთ

[7] 04/05/2020, განცხადება №გ-01/44-20.

[8] საიას მონიტორები სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სხდომების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, პროცესამდე ერთი დღით ადრე იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელ სხდომებს დაესწრონ. შემდეგ აღნიშნულის შესახებ აცნობებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სამდივნოს უფროსს ან/და სხდომის მდივნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დისტანციურად მიმდინარე სხდომებზე საიას დამკვირვებელთა ჩართვას.

[9] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 11.05.2020, განცხადება №4212-2.
ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 11.05.2020, განცხადება №313-გ/კ.
რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 06.05.2020, განცხადება №440/გ.

სხდომას, რომელზეც დისტანციურად ჩართულ პირთა რაოდენობა 10-ს აჭარბებდა, თუმცა, მონაწილეთა სიმრავლის გამო არავითარი ტექნიკური პრობლემა არ გამოვლენილა.

მიმართვისთანავე, მიმდინარე წლის 2 ივნისს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ უზრუნველყო საიას მონიტორების ჩართვა ყველა ეტაპის დისტანციურ პროცესებზე, მათ შორის, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზეც. შესაბამისად, კიდევ უფრო გაუგებარია სხვა სასამართლოების პოზიცია საიას დამკვირვებელთა ჩართულობასა და მათთვის საჯაროობის პრინციპის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამით მათ, აბსტრაქტული ტექნიკური პრობლემის წარმოშობის საბაბით, სხდომების საჯაროობის თვალსაზრისით, განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენეს პროცესის მონაწილე ბრალდებულები, თბილისის ან/და ზუგდიდის სასამართლოებში წარმოდგენილი ბრალდებულებისგან განსხვავებით.

2020 წლის 1-ლი ივნისის შემდგომ საია სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს ახორციელებს 6 სასამართლოში: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში.[10]

ამ ეტაპისთვის ორგანიზაცია თბილისსა და ზუგდიდში აგრძელებს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს როგორც უშუალოდ სასამართლო დარბაზში, ისე დისტანციურად. დღესდღეობით ამ თვალსაზრისით რამე დამატებითი შეფერხება არ არსებობს.

[10] თბილისის საქალაქო სასამართლოში საია მონიტორინგს ახორციელებს როგორც დისტანციურად, ისე უშუალოდ სხდომის დარბაზში მიმდინარე საქმეებზე; ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში - დისტანციურად, ხოლო ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებში საიას მონიტორები სასამართლოს შენობაში აკვირდებიან დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად მიმდინარე პროცესებს.

დისტანციური სხდომების მონიტორინგის შედეგები და გამოვლენილი ტენდენციები

სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები

მას შემდეგ, რაც შექმნილი ვითარების გამო შეუძლებელი გახდა უშუალოდ სასამართლოს დარბაზში მიმდინარე პროცესებზე დასწრება, საიას დამკვირვებლები, ფაქტობრივად, ვეღარ ახერხებდნენ პირველი წარდგენის სხდომების მონიტორინგს. მართალია, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 40 დღის შემდეგ საიას მიეცა საშუალება, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამართალწარმოების სხვა ეტაპის პროცესებს დისტანციურად დასწრებოდა, თუმცა პირველი წარდგენის სხდომებს ეს არ შეხებია.

საიას დამკვირვებლების ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი იყო სასამართლოს ვებგვერდზე დისტანციურად მიმდინარე პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობა.

სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საიას მონიტორებს პირველი წარდგენის სხდომებზე დისტანციური დასწრების კუთხით არავითარი პრობლემა არ შეჰქმნიათ. ამის მიზეზი იყო სასამართლოს მხრიდან მაქსიმალური ღიაობა სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და პროცესების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსება საკუთარ ვებგვერდზე.

საიას დამკვირვებლები ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში დაესწრნენ პირველი წარდგენის 6 სხდომას. აქედან ერთ საქმეზე მოსამართლემ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება, ერთ ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა, ხოლო ოთხს - გირაო. დაკავებული პირები პროცესს დისტანციურად ჩაერთნენ დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ხოლო ერთი ბრალდებულის ჩართვა, რომელიც არ იყო დაკავებული, განხორციელდა პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან.

საპროცესო შეთანხმებები

საიას მონიტორები დაესწრნენ 17 სხდომას, რომლებზეც 17 პირთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. ერთ შემთხვევაში სასამართლომ შეთანხმება არ დაამტკიცა, რადგან მიიჩნია, რომ დასაზუსტებელი იყო წარდგენილი ბრალდების ფორმულირება.

აღსანიშნავია, რომ იმ სხდომაზე, რომელზეც მოსამართლემ საპროცესო შეთანხმება არ დაამტკიცა, ბრალდებული არ იყო წარდგენილი დაკავებულის სახით, თუმცა პროცესს ერთვებოდა პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი 3000 ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, სასამართლომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ბრალდებულს ადვოკატთან კარგად ჰქონდეს გავლილი ყველა ის საკითხი, რომლებზეც ბრალდების მხარესთან

მოხდა შეთანხმება. ამისთვის საჭიროა მათ შორის ეფექტიანი კომუნიკაცია.

საიამ, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის 2018-2019 წლების საანგარიშო პერიოდში, სასამართლოს დარბაზში ჩატარებული პროცესების დროსაც გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ადვოკატმა ბრალდებული პირველად ნახა სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე.[11]

ამჯერადაც, როგორც საპროცესო შეთანხმების, ისე წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომებზე ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც, საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვების გამო, ადვოკატმა ვერ მოხერხა პენიტენციარულ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთან ეფექტიანი კომუნიკაცია. დისტანციურად მიმდინარე პროცესის დროს რამდენიმე ადვოკატმა გამოთქვა ბრალდებულთან ცალკე გასაუბრების სურვილი, თუმცა სხდომის მდივანმა განუმარტა, რომ ის ვერ უზრუნველყოფდა მათი საუბრის კონფიდენციალურობას. ეს საკითხი პრობლემატურია იმ კუთხითაც, რომ ტექნიკურად რომც იყოს შესაძლებელი ბრალდების მხარის და მოსამართლის დროებით გათიშვა (დატოვონ სხდომა), პროცესის მიმდინარეობისას კეთდება უწყვეტი ჩანაწერი, რაც ადვოკატის და მისი დაცვის ქვეშ მყოფის საუბრის გამჟღავნების რისკს წარმოშობს.

ყოველივე ზემოაღნიშნული აჩენს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ დისტანციურად მიმდინარე პროცესების დროს, დარბაზში ჩატარებული სხდომებისგან განსხვავებით, სასამართლოსთვის სათანადოდ აღქმადი არ არის ბრალდებულის რეალური ნება საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

თუმცა, მეორე მხრივ, თუკი ბრალდებულს ექნება ადვოკატთან სათანადო და ეფექტიანი კომუნიკაცია, რის შემდგომაც სასამართლო განახორციელებს საპროცესო შეთანხმების მკაცრ კონტროლს და ზედმიწევნით დაიცავს სსსკ-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაძ-

[11] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13, 2019წ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Yd6OLm.

ლოა, ამ სხდომების დისტანციური წესით ჩატარებამ მხარეთა დრო და რესურსი დაზოგოს.

წინასასამართლო სხდომები

საიას მონიტორები საანგარიშო პერიოდში დისტანციურად დაესწრნენ 54 წინასასამართლო სხდომას 57 ბრალდებულის მიმართ. პროცესები მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ორ განსხვავებულ საქმეზე სხდომის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ბრალდებულები, რომლებსაც არ ჰყავდათ ადვოკატები და ერთვებოდნენ პენიტენციარული დაწესებულებიდან, პროცესზე განხილულ გარემოებებს სათანადოდ ვერ აღიქვამდნენ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი გაუაზრებლად დაეთანხმნენ მოსამართლის კითხვას მტკიცებულებათა უდავოდ ცნობასთან დაკავშირებით.

ორ წინასასამართლო სხდომაზე ორმა პირმა არასათანადო მოპყრობის შესახებ განაცხადა: ერთმა - სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, ხოლო მეორემ - პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაზე. სხვა დისტანციური სხდომებისგან განსხვავებით, ამ ბოლო შემთხვევაში ბრალდებული[12] ერთვებოდა საკნიდან, ხოლო მონიტორი, მიკროფონი და დინამიკი საკნის გარეთ იყო განთავსებული. ეს ართულებდა პროცესზე განხილული საკითხების აღქმადობას და ბრალდებულისგან ინფორ-მაციის მიღებას. არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადების შემდეგ მოსამართლემ პროკურორს რეაგირებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ამის თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აცნობებდა.

იმ ვითარებისგან განსხვავებით, როდესაც პირი სასამართლოს დარბაზში იმყოფება და შეუძლია, მის მიმართ განხორციელებული

[12] ბრალი ედებოდა სსკ-ის 378-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მე-5 ნაწილით (პენიტენციარული დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა, ჩადენილი არაერ-თგზის, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ).

შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ ღიად ისაუბროს, დისტანციური სხდომების დროს ბრალდებული არ ტოვებს პენიტენციარულ დაწესებულებას. სასამართლო პროცესზე მის ჩართვას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლები და, მიუხედავად იმისა, რომ კადრში მხოლოდ ბრალდებული ჩანს, დამკვირვებლებისთვის უცნობია, რეალურად, მარტოა ის ოთახში თუ - არა, ან ამ დაწესებულებიდან ვის აქვს წვდომა მის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.

საიას აზრით, ზემოთ მოცემული ვითარება ზრდის იმის ალბათობას, რომ პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, ბრალდებულმა თავი შეიკავოს სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდებისგან, იმავე ან/და სხვა თანამშრომლების მხრიდან მომდინარე ფსიქოლოგიური ზეწოლის ან შემდგომი ფიზიკური ძალადობის შიშით.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები

საიას მონიტორები დისტანციურად დაესწრნენ არსებითი განხილვის 64 სხდომას 84 ბრალდებულის მიმართ. აქედან 15 სხდომაზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, 2-ზე - დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილნი.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მოწმეები ერთვებოდნენ პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან ან ადვოკატის ოფისიდან. ასევე, დისტანციურად მიმდინარე რამდენიმე პროცესზე მოწმე სხდომის დარბაზში გამოცხადდა.

ბრალდების მხარის მოწმეები, ძირითადად, ერთვებოდნენ პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან. ეს პრობლემაა, ვინაიდან იქ შექმნილმა გარემომ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მოწმეზე ინფორმაციის თავისუფლად გადმოცემის თვალსაზრისით, ან არ იყოს ღია და გულწრფელი ისეთ საკითხებზე საუბრისას, რომლებიც თანხვედრაში არ არის ბრალდების მხარის პოზიციასთან. გარდა ამისა, იქმნება საფრთხე, რომ პოლიციის განყოფილებაში

დაკითხული მოწმე, წარმოსახვითი წნეხის ან კადრს მიღმა პოლიციელთა მხრიდან მომდინარე ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო, ვერ გასცდეს გამოძიების დროს მიწოდებული ინფორმაციის ფარგლებს. შედეგად, შესაძლოა, არ ისაუბროს გამოკითხვის შემდეგ აღდგენილ ან/და დაზუსტებულ გარემოებებზე, რაც ხელს შეუშლის სასამართლოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.

გამოწვევაა ასევე თავად სამართალდამცავთა ჩართვა პოლიციის განყოფილებიდან, ვინაიდან კონკრეტულ საქმეზე მოწმედ წარდგენილი ერთი პოლიციელის დაკითხვას, შესაძლოა, იმავე შენობაში მყოფი სხვა თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. შესაბამისად, არსებობს, რისკი, რომ მოწმეებმა ერთმანეთის ჩვენებები მოისმინონ.

როგორც პოლიციის განყოფილებაში, ისე ადვოკატის ოფისსა ან, თუნდაც, საკუთარ სახლში დისტანციურად დაკითხვის დროს არსებობს საფრთხე, რომ მოწმე, შესაძლოა, კითხულობდეს წინასწარ დაწერილ ტექსტს და მომხდართან დაკავშირებით საუბრობდეს არა იმაზე, რაც რეალურად ახსოვს, არამედ ამბობდეს იმას, რაც წინასწარ მიაწოდა რომელიმე მხარემ.

დისტანციური სხდომების დროს გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მონაწილეებმა სოციალური ქსელების მეშვეობით გაავრცელეს პროცესის ე.წ. სქრინები. ეს ნეგატიურად აისახება ბრალდებულის და სხდომაზე ჩართული სხვა პირების პერსონალური ინფორმაციის დაცულობაზე. პრობლემაა ისიც, რომ მოწმეს შეუძლია, გააკეთოს პროცესის ჩანაწერი და მოასმენინოს სხვა პირს ან ამ საქმეზე დასაკითხ მეორე მოწმეს.

გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს ასევე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დახურული სხდომების ჩატარება, ვინაიდან დისტანციური არხების გამოყენებით მიმდინარე პროცესზე გახმოვანებული ინფორმაცია, უშუალოდ სასამართლოს დარბაზში გამართული სხდომებისგან განსხვავებით, ზემოხსენებული რისკების გათვალისწინებით, არ არის საკმარისად დაცული.

სხდომათა დარბაზში მოწმის დაკითხვისგან განსხვავებით, დისტანციური ჩართვის დროს მოსამართლე მოწმეს არ სთხოვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. შესაბამისად, ამ კუთხით სასამართლო კონტროლი შემცირებულია.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს, ფაქტობრივად, არ ესმოდა, თუ რაზე მსჯელობდნენ სხდომაზე. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც პირს ადვოკატი არ ჰყავს. გარდა ამისა, დისტანციურ რეჟიმში პრაქტიკულად შეუძლებელია ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა. რამდენიმე პროცესზე, ვიდეოჩანაწერი, რომლის გამოკვლევაც მიმდინარეობდა, არ იყო მხარეთათვის აღქმადი.

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ სულ 8 შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო, აქედან, 7 - გამამტყუნებელი, ხოლო ერთი - გამამართლებელი. ყველა შემთხვევაში, მათ შორის, გამამართლებელი განაჩენის[13] დროსაც მხარეებს მტკიცებულებები უდავოდ ჰქონდათ ცნობილი.

პრობლემურია სხდომები, რომლებზეც ბრალდებულის ბედი დამოკიდებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაზე. საგანგებო მდგომარეობის დროს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ ხდებოდა ექსპერტიზის ჩასატარებლად ბრალდებულთა შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანა. ერთ-ერთ საქმეზე, რომელმაც პროცესის ყველა ეტაპი გაიარა, მოსამართლეს ვერ გამოჰქონდა შემაჯამებელი გადაწყვეტილება სწორედ ამ დასკვნის არარსებობის გამო.

[13] პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 287[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში (სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა). ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს, თუმცა მტკიცებულებები არ გაუხდია სადავო. მიუხედავად პროკურორის მიერ წარმოდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებისა, რომლებშიც მსგავსი შემთხვევები 287[1]-ე მუხლით დაკვალიფიცირდა, მოსამართლემ ვერ დაინახა დანაშაულის ნიშნები გაფუჭებული დაზგის ურეგისტრაციო მფლობელობაში და ბრალდებული გაამართლა.

ტექნიკური და სხვა სახის პრობლემები

8 შემთხვევაში სხდომის მიმდინარეობისას გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელმაც პროცესის გაჭიანურება გამოიწვია. 35 სხდომა გადაიდო და, შესაბამისად, საიას მონიტორებმა მათზე დასწრება ვერ შეძლეს. სხდომების გადადების ძირითადი მიზეზი ბრალდებულის ან მხარის ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემები იყო.

თითქმის ყველა სხდომა, რომლებსაც საიას მონიტორები დაესწრნენ, დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი, უმეტესწილად, პენიტენციარული დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა ჩართვის შეფერხება იყო, რასაც, ძირითადად, იწვევდა დაწესებულებაში არსებული ტექნიკური საშუალებების ან ჩართვის უზრუნველსაყოფად საჭირო პერსონალის სიმცირე. ამას შედეგად მოსდევდა არა მხოლოდ ლოდინთან დაკავშირებული დისკომფორტი, არამედ, ასევე, არეულობა სასამართლოსა და მხარეების დღის წესრიგში, პროცესების გადადება ან საათობით დაგვიანება.

ზემოთ ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ პროცესში მონაწილე პროკურორი სხვა სხდომაზე ჩაერთო, ხოლო განსახილველ

საქმეზე, მის ნაცვლად, ჩართვა მოუწია პროკურორს, რომელიც საქმის მასალებს არ იცნობდა. შედეგად, სხდომა გადაიდო.

გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს წარმომადგენელი, გაუგებარი მიზეზით, თავს არიდებდა დისტანციურ პროცესზე საიას დამკვირვებლის ჩართვას.[14] ერთ შემთხვევაში დაცვის მხარემ გამოთქვა უკმაყოფილება საიას დასწრებასთან დაკავშირებით, თუმცა, ვინაიდან სხდომა არ იყო დახურული, ამას მონიტორინგის მიმდინარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

[14] არ იყო კეთილგანწყობილი სხდომაზე საიას მონიტორების ჩართვის მიმართ. შეთანხმების მიუხედავად, ორგანიზაციის დამკვირვებლებს რამდენიმე პროცესზე დასწრების შესაძლებლობა არ მიეცათ.

დასკვნა და რეკომენდაციები

სასამართლომ, პანდემიის საწყის ეტაპზევე, დროულად უზრუნველყო საფრთხის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება და, ამ მიზნით, დისტანციურ სამართალწარმოებაზე გადასვლა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მიმდინარე სხდომები მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასამართლო სისტემისთვის. დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი, რომლებიც საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და საჭიროებს დროულ მოწესრიგებას, რათა არ შეფერხდეს სასამართლოს საქმიანობა და, იმავდროულად, მოქალაქეებმა მიიღონ ხარისხიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულება.

საჯაროობის პრინციპის დაცვით პროცესების ჩატარება, ერთი მხრივ, კანონმდებლობის მოთხოვნაა და, მეორე მხრივ, საზოგადოების თვალში ის მეტი ლეგიტიმაციით სარგებლობს. სამწუხაროდ, არაერთმა სასამართლომ უარი თქვა დისტანციურ სხდომებში დამკვირვებლებისა თუ დაინტერესებული პირების მონაწილეობაზე და სრულად დახურა ისინი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. ამით მათ დაარღვიეს საჯაროობის პრინციპი.

პროცესების დაკვირვებისა და ხარვეზების იდენტიფიცირების შედეგად, საიამ შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადა. მართალია,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დისტანციურ პროცესებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილება დროებითია,[15] თუმცა ამის საჭიროება, შესაძლოა, შემდგომშიც წარმოიშვას.

საია იმედოვნებს, რომ ანგარიშში მოცემული მიგნებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება უფრო ეფექტიანს გახდის დისტანციურ სამართალწარმოებას და ხელს შეუწყობს სამართლიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც პირდაპირ-პროპორციულად აისახება სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხზე.

რეკომენდაციები:

- სასამართლოებმა უზრუნველყონ დისტანციურ სხდომებზე მონიტორებისა და დაინტერესებული პირების ჩართვა.
- დისტანციურ სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მიზნით, გამოიცეს რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლის თავიდან აცილება და, იმავდროულად, დაცული იქნება პროცესის მონაწილეთა ინტერესები.
- სასამართლომ უზრუნველყოს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის განთავსება საკუთარ ვებგვერდზე.
- სასამართლოს შენობაში მოწმეთა დისტანციურად დაკითხვისთვის მოეწყოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ოთახი, საიდანაც შეძლებენ პროცესებზე დასწრებას ისე, რომ დაცული იყოს მათ მიერ მიცემული ჩვენებების კონფიდენციალურობა. იმავდროულად, მაქსიმალურად შემცირდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლასა თუ მხარის პოზიციის გახმოვანებასთან დაკავშირებული ის საფრთხეები, რომლებიც, შესაძლოა, თან სდევდეს მოწმის ჩართვას პოლიციის განყოფილებიდან ან ადვოკატის ოფისიდან.

[15] სსსკ-ის 332-ე (5) მუხლი. 2020 წლის 15 ივლისამდე პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, გაიმართოს დისტანციურად.

- პროცესის მონაწილეებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით, უზრუნველყოფილი იყოს დისტანციურ სხდომებზე იმ ადამიანების ჩართვა, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, რათა სოციალურმა ფონმა გავლენა არ მოახდინოს ბრალდებულთა საქმის გაჭიანურებაზე.
- სასამართლო და მხარეები მაქსიმალურად შეეცადნენ, რომ არსებითი განხილვის სხდომები ჩატარდეს სასამართლოს დარბაზში.
- შესაბამისმა უწყებებმა, საჭიროების შემთხვევაში, გადაამზადონ პროცესის მონაწილეები ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- პენიტენციარული დაწესებულებები აღიჭურვოს საჭირო რაოდენობის ტექნიკური საშუალებებით. ასევე, დაემატოს და გადამზადდეს პერსონალი პროცესზე ბრალდებულთა შეუფერხებლად ჩართვის უზრუნველსაყოფად.
- პენიტენციარულმა დაწესებულებამ სასამართლოში დისტანციურად ჩართვის დროს უზრუნველყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაცვა უარყოფითი ზეგავლენისგან ნების თავისუფლად გამოვლენაზე, ასევე - მათ მიერ პროცესზე გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- ბრალდებულებს, რომლებსაც უჭირთ პროცესზე პოზიციის დაფიქსირება ადვოკატთან უშუალო კომუნიკაციის გარეშე, მიეცეთ შესაძლებლობა, პენიტენციარული დაწესებულებიდან სხდომას ადვოკატთან ერთად ჩაერთონ. ამ დროს მიღებული უნდა იყოს შესაბამისი ზომები პანდემიის გავრცელების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად.
- დისტანციური სხდომების მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის დაცვა.
- მაქსიმალურად იყოს დაცული ის ინფორმაცია, რომლის შესახებაც საუბარი იყო დახურულ სხდომებზე.
- განისაზღვროს აუდიო, ვიდეო და ფოტო გადაღების წესები დისტანციურად ჩატარებული სხდომების დროს.
- მხარეებმა მაქსიმალურად დაიცვან ეთიკის ნორმები და პროცესის მიმდინარეობის დროს მონაწილეებისთვის გადაღებული ფოტოსურათები არ გახადონ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.